საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №253
2020 წლის 9 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სამსახური უფლებამოსილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში საერთო სასამართლოების სისტემაში განახორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლობა საგადასახადო/საბაჟო დავებზე.“.

2. მე-12 მუხლს „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა^{1}“ ქვეპუნქტი:

„ა^{1}) საგადასახადო/საბაჟო დავებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლობა საერთო სასამართლოების სისტემაში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში;“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**